საქართველო
GEORGIA

გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის საქართველოს სამინისტრო

MINISTRY OF ENVIRONMENTAL PROTECTION AND AGRICULTURE OF GEORGIA

N 10750/01
13/11/2020

10750-01-2-202011131748

დიდუბის რაიონის გამგეობას

შპს „სუპერგაზს“
მის: ქ. თბილისი, ხოშარაულის ქ. №29

სსდ გარემოსდაცვითი ზედამხედველობის დეპარტამენტს

გიგზავნით ქ. თბილისში შპს „სუპერგაზის“ ავტოგასამართი სადგურის (ნავთობპროდუქტების საცავის) მოწყობასა და ექსპლუატაციაზე სკრინინგის გადაწყვეტილების შესახებ საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის მინისტრის 2020 წლის 13 ნოემბრის N 2-1046 ბრძანებას.

გთხოვთ, უზრუნველყოთ ზემოაღნიშნული ბრძანების განთავსება დიდუბის რაიონის გამგეობის საინფორმაციო დაფაზე.

დანართი: 4 (ოთხი) ფურცელი

ნინო თანდილაშვილი

მინისტრის მოადგილე

0159, საქართველო, თბილისი, მარშალ გელოვანის გამზ. №6. ტელ.: +(995 32) 2378013 / +(995 32) 2378044
www.mepa.gov.ge
6, Marshal Gelovani ave., Tbilisi 0159, Georgia, Phone.:+(995 32) 2378013 / +(995 32) 2378044

საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის მინისტრი

ბრძანება N 2-1046

13/11/2020

ქ. თბილისი

ქ. თბილისში, შპს „სუპერგაზის“ ავტოგასამართი სადგურის (ნავთობპროდუქტების საცავის) მოწყობასა და ექსპლუატაციაზე სკრინინგის გადაწყვეტილების შესახებ

შპს „სუპერგაზის“ მიერ გზშ-ს ჩატარების საჭიროების დადგენის მიზნით საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროში წარმოდგენილია ქ. თბილისში არსებული ბუნებრივი აირის ავტოგასამართი სადგურის ტერიტორიაზე ნავთობპროდუქტების (ბენზინის და დიზელის საწვავის) საცავების მოწყობის სკრინინგის განცხადება.

წარმოდგენილი დოკუმენტაციის მიხედვით, შპს „სუპერგაზის“ არსებული ბუნებრივი აირის ავტოგასამართი სადგური მდებარეობს ქ. თბილისში, კოსმონავტების სანაპირო #39-ში, 3372 მ^2 ფართობის მქონე არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთზე (GPS კოორდინატები X - 481306.00; Y – 4620155.00 საკადასტრო კოდი: 01.13.05.004.189). აღნიშნული ტერიტორიიდან უახლოესი დასახლებული პუნქტი დაშორებულია 80 მეტრით.

ავტოგასამართ სადგურის ტერიტორიაზე მოწყობილია ბუნებრივი აირის ჩასატუმბი კომპრესორები, რომელიც დაერთებულია შესაბამის ბუნებრივი აირის შესანახ ავზებზე, რომელთა ჯამური ტევადობა შეადგენს 3750 ლიტრს. ავტოგასამართი სადგური დღეღამეში ახდენს 18000 მ^3-მდე ბუნებრივი აირის საწვავის რეალიზაციას. პროექტის მიხედვით ავტოგასამართი სადგურის ტერიტორიაზე დაგეგმილია დიზელის და ბენზინის საწვავის გასამართი სვეტებისა და რეზერვუარების მოწყობა შესაბამისი დამხმარე მოწყობილობებით და ინფრასტრუქტურით. სკრინინგის ანგარიშის მიხედვით, ბენზინის და დიზელის რეზერვუარების მოწყობის შემდეგ, ავტოგასამართ სადგურზე მოხდება წელიწადში 5475 მ^3-მდე საწვავის რეალიზაცია, საიდანაც 3650 მ^3 იქნება ბენზინი, ხოლო დიზელი - 1825 მ^3.

პროექტის მიხედვით არსებული ავტოგასამართი სადგურის ტერიტორიაზე მოეწყობა:

- 6 ერთეული მიწისქვეშა რეზერვუარი. თითოეულის მოცულობა შეადგენს 17,6 მ^3-ს. რეზერვუარები განკუთვნილი იქნება ბენზინის და დიზელის საწვავის შესანახად. ყველა რეზერვუარი აღჭურვილი იქნება 3,5 მ სიმაღლის და 0,05 მ დიამეტრის მქონე სასუნთქი სარქვლებით;

- 4 ერთეული საწვავის ჩამოსასხმელი სვეტი, რომლებიც მიერთებული იქნება შესაბამის რეზერვუარებთან;
- საწვავის მისაღები ჩამოსასხმელი დგარის, ფარდულის ტიპის გადახურვის და უსაფრთხოებისთვის გათვალისწინებული ინფრასტრუქტურის მოწყობა.

რეზერვუარები განთავსდება ბეტონის სარკოფაგში, ხოლო მათ შორის არსებული ცარიელი ადგილები შეივსება ქვიშა-ღორღის წვრილი ფრაქციით. ავტოგასამართ სადგურზე ნავთობპროდუქტების მიღება მოხდება ჩამოსასხმელი დგარიდან ავტოცისტერნების საშუალებით, საიდანაც საწვავი განთავსდება მიწისქვეშა რეზერვუარებში.

ავტოგასამართი სადგურის ტერიტორიაზე წყლის გამოყენება გათვალისწინებულია საყოფაცხოვრებო მიზნებისთვის და სახანძრო უსაფრთხოებისთვის. ობიექტის წყლით მომარაგება მოხდება ცენტრალური წყალმომარაგების ქსელიდან. ავტოგასამართი სადგურის ტერიტორიაზე წარმოქმნილი სამეურნეო-ფეკალური ჩამდინარე წყლების ჩაშვება ხდება ქ. თბილისის საკანალიზაციო სისტემაში.

ავტოგასამართი სადგურის ტერიტორიაზე საწვავის ჩამოსასხმელი სვეტები განთავსდება დახურული ფარდულის ტიპის შენობაში, რაც შეამცირებს ნავთობპროდუქტებით სანიაღვრე წყლების დაბინძურების რისკს. არსებული ავტოგასამართი სადგურის ტერიტორია მოწყობილია ასფალტის საფარით, ხოლო საწვავის გასაცემი სვეტების გარე პერიმეტრზე გათვალისწინებულია დაღვრილი საწვავის შემკრები არხების მოწყობა, რომელიც დაერთებული იქნება მიწისქვეშა ავზთან. ავტომანქანების გამართვის და სხვა გაუთვალისწინებელი შემთხვევების დროს დაღვრილი ნავთობპროდუქტები შეიკრიბება აღნიშნული არხების საშუალებით და შეგროვდება მიწისქვეშა ავზში, საიდანაც მოხდება დაღვრილი ნავთობპროდუქტების გარკვეული ნაწილის ამოღება, ხოლო დარჩენილი დაბინძურებული შლამი განთავსდება შესაბამის კონტეინერში და გადაეცემა აღნიშნული სახის ნარჩენების მართვაზე შესაბამისი ნებართვის მქონე ორგანიზაციას.

ავტოგასამართი სადგურის ტერიტორიაზე გათვალისწინებულია მეხამრიდის მოწყობა, რომელიც დაფარავს ფარდულს და საოპერატორო შენობას. დამატებითი სახანძრო უსაფრთხოების მიზნით, დაგეგმილია ცეცხლმაქრებით აღჭურვილი ხანძარსაწინააღმდეგო ინვენტარის განთავსება.

სკრინინგის განცხადების მიხედვით სამშენებლო სამუშაოების ეტაპზე მოსალოდნელია მცირე რაოდენობით სამშენებლო ნარჩენების წარმოქმნა, ხოლო ობიექტის ექსპლუატაციისას - წარმოიქმნება საყოფაცხოვრებო ნარჩენები (წლიურად 4,38 $მ^3$-მდე). ნარჩენების მართვა მოხდება კანონმდებლობით გათვალისწინებული მოთხოვნების შესაბამისად. სახიფათო ნარჩენები (წარმოქმნის შემთხვევაში) გადაეცემა ამ სახის ნარჩენების მართვაზე შესაბამისი უფლებამოსილების მქონე ორგანიზაციას.

ვინაიდან ავტოგასამართი სადგურის ტერიტორია მოწყობილია ასფალტის საფარით, მიწის სამუშაოების პერიოდში ნიადაგის ნაყოფიერ ფენაზე ზემოქმედება მოსალოდნელი არ არის, თუმცა სამშენებლო სამუშაოების პერიოდში მიწის ნაყოფიერი ფენის არსებობის შემთხვევაში ნიადაგის ნაყოფიერი ფენის მოხსნა, დასაწყობება და შემდგომი მართვა მოხდება კანონმდებლობით გათვალისწინებული ნორმების დაცვით.

საქმიანობის სპეციფიკიდან გამომდინარე ატმოსფერულ ჰაერში გაიფრქვევა ნავთობპროდუქტების ნახშირწყალბადები, რომლის მაქსიმალური ინტენსივობა ფიქსირდება ობიექტზე საწვავის მიღების დროს. ავტოგასამართი სადგურის სიახლოვეს მსგავსი ტიპის ობიექტი არ ფუნქციონირებს, აღნიშნულიდან გამომდინარე ატმოსფერული ჰაერის ხარისხზე კუმულაციური ზემოქმედება მოსალოდნელი არ არის.

საქმიანობის სპეციფიკიდან გამომდინარე ავტოგასამართი სადგურის ექსპლუატაცია არ უკავშირდება ხმაურის წარმომქმნელი დანადგარების გამოყენებას, შესაბამისად ობიექტის ფუნქციონირების შედეგად ხმაურის გავრცელების დასაშვები დონეების გადაჭარბება უახლოეს საცხოვრებელ სახლთან (80 მ) არ არის მოსალოდნელი.

ავტოგასამართი სადგურის ტერიტორიაზე და მის შემოგარენში არ ფიქსირდება მცენარეული საფარი მრავალწლოვანი მცენარეები და არც წითელ ნუსხაში შეტანილი სახეობები.

„გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსის“ მე-7 მუხლის მე-5 ნაწილის შესაბამისად, სკრინინგის განცხადება გამოქვეყნდა სამინისტროს ოფიციალურ ვებგვერდზე და დიდუბის რაიონის გამგეობის საინფორმაციო დაფაზე. საზოგადოების მხრიდან აღნიშნულ საქმიანობასთან დაკავშირებით სამინისტროში წერილობითი შენიშვნები და მოსაზრებები არ ყოფილა წარმოდგენილი.

საწვავის შესანახი რეზერვუარები განთავსებულია მიწის ზედაპირის ქვეშ, რაც ამცირებს მათზე გარემო ფაქტორების (მზის გამოსხივება, ტემპერატურა და ა.შ) უარყოფითი ზემოქმედების რისკს. საწვავის შესანახი რეზერვუარების ჯამური მოცულობების გათვალისწინებით (70,4 მ^3) ავტოგასამართი სადგურიდან ატმოსფერულ ჰაერში გაფრქვეული მავნე ნივთიერებები მცირე მოცულობისაა, ლოკალიზებულია ავტოგასამართი სადგურის ტერიტორიაზე და იშვიათად სცილდება სადგურის განთავსების ტერიტორიის საზღვრებს. აღნიშნულიდან გამომდინარე, დაგეგმილი საქმიანობა არ გამოიწვევს გარემოზე მნიშვნელოვან ზემოქმედებას.

<u>ზემოაღნიშნული კრიტერიუმების გათვალისწინებით, „გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსის“ მე-7 მუხლის მე-6 ნაწილის საფუძველზე,</u>

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ:

1. მიღებულ იქნეს სკრინინგის გადაწყვეტილება, რომ შპს „სუპერგაზის“ ავტოგასამართი სადგურის (ნავთობპროდუქტების საცავის) მოწყობა და ექსპლუატაცია **არ დაექვემდებაროს** გარემოზე ზემოქმედების შეფასებას;
2. შპს „სუპერგაზი“ ვალდებულია საქართველოს კანონის „გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსის“ მე-7 მუხლის მე-8 ნაწილის შესაბამისად უზრუნველყოს გარემოსდაცვითი ტექნიკური რეგლამენტებით დადგენილი მოთხოვნებისა და გარემოსდაცვითი ნორმების დაცვა;
3. ბრძანება დაუყოვნებლივ გაეგზავნოს შპს „სუპერგაზს“;
4. ბრძანება ძალაში შევიდეს შპს „სუპერგაზის“ მიერ ამ ბრძანების გაცნობისთანავე;

5. სკრინინგის გადაწყვეტილების გაცემიდან 5 დღის ვადაში გადაწყვეტილება განთავსდეს სამინისტროს ოფიციალურ ვებგვერდზე და დიდუბის რაიონის გამგეობის საინფორმაციო დაფაზე;
6. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (თბილისი, დ. აღმაშენებლის ხეივანი, მე-12 კმ. N6) მხარის მიერ მისი ოფიციალური წესით გაცნობის დღიდან ერთი თვის ვადაში.

ლევან დავითაშვილი

მინისტრი